CU მოხალისე კურსდამთავრებულთა ქცევის კოდექსი

სტუდენტების, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის, კურსდამთავრებულთა ასოციაციასა და კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების სახელით, ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი მოხალისეობისთვის. მოცემული ქცევის კოდექსი ეხმარება კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მოხალისეების პროგრამას და ღონისძიებებს იყვენ მრავლისშემცველი, პროდუქტიული და უსაფრთხო ყველა მონაწილისთვის. კავკასიის უნივერსიტეტი, მისი კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური და კურსდამთავრებულთა ასოციაცია მოითხოვს რომ თითოეულმა მოხალისემ წაიკითხოს და შეასრულოს კურსდამთავრებულთა მოხალისეთა ქცევის კოდექსი, სანამ მიიღებენ მონაწილეობას კავკასიის კურსდამთავრებულთა მოხალისეობის აქტივობებში. მოხალისე კურსდამთავრებულთა ქცევის კოდექსი მხოლოდ ერთხელ უნდა იყოს აღიარებული და შემდეგ ითვლება ძალაში კავკასიის უნივერსიტეტის მოხალისის სამსახურის როლისა და ხანგრძლივობის ვადის მიუხედავად.

- კავკასიის უნივერსიტეტის არადისკრიმინაციული განცხადება: უნივერსიტეტი იცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ჩაგვრისაგან თავისუფალ გარემო პირობებს. უნივერსიტეტში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.
- დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხყმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.
- დაუშვებელია სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფიზიკური (არასასურველი შეხება), ვერბალური (სექსუალური ხასიათის კომენტარები, ხუმრობები), ან/და არავერბალური (სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაცია, სტვენა, და ა.შ) ქცევა, რომელიც ლახავს პიროვნების

ღირსებას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;

- კურსდამთავრებული მოხალისეები წარმოადგენენ კავკასიის უნივერსიტეტს, შესაბამისად, ნებისმიერი ქცევა, რომელიც ქმნის არასასურველ გარემოს, არ იქნება მიტევებული და შეიძლება გამოიწვიოს მოხალისეობის შეწყვეტა ან კავკასიის უნივერსიტეტის მოხალისეობის პროგრამებიდან განუსაზღვრელი ვადით ამოღება. ყველა მოხალისე ვალდებულია დაიცვას კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკა დისკრიმინაციისა და შევიწროების შესახებ.
- კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და კონფიდენციალურობა: კავკასიის უნივერსიტეტის მოხალისეობის ნებისმიერ პროგრამაში მონაწილეობისას მიღებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამებთან დაკავშირებული კანონიერი, მართლზომიერი მიზნებისთვის. სტუდენტის აკადემიური მოსწრების ან შეფასების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი უცხო პირისთვის სტუდენტის თანხმობის გარეშე არის კავკასიის უნივერსიტეტის ეთიკური სტანდარტების დარღვევა.
- ინტერესთა კონფლიქტი: კავკასიის უნივერსიტეტი იყენებს უმაღლეს ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებს. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ მიუკერძოებლები, თავისუფალი პირადი სარგებლისგან, რეალური ან პოტენციური გავლენისგან.
- კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე, დაუშვებელია უნივერსიტეტის სახელით რაიმე სახის პოზიციის დაფიქსირება ან ინფორმაციის გავრცელება.
- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის, კურსდამთავრებულთა ასოციაციის ან კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების სახელით რეკომენდაციების ან გადაწყვეტილების მიღებისას ისინი უნდა ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით და პირად გამორჩენას არ ეძებდნენ.
- ონლაინ პორტალის, მონაცემთა ბაზების ან შეტყობინებების ფუნქციების და პროფილის სათანადო გამოყენება: მოხალისე კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ განახლებული პერსონალური ელექტრონული პროფილი. ხოლო თუ მათთვის რაიმე კავკასიის უნივერსიტეტში დაცული ინფორმაცია გახდება ცნობილი, უნდა მოეპყრან მონაცემთა დაცვის ყველა მოთხოვნის თანახმად და არ დაუშვან პირადი ან მგრძნობიარე ინფორმაციის რაიმე სახით გასაჯაროება.
- არ ჩაერთოთ: სპამის ან რაიმე დუბლიკატი ან არასასურველი შეტყობინებების გავრცელება ან პოპულარიზაციაში. დაუშვებელია ისეთი სახის კომუნიკაცია, რომელიც იქნება მუქარის

შემცველი ან დაარღვევს სხვათა კანონიერ უფლებებს და გამოიწვევს მათ შევიწროვებას; დაუშვებელია ნებისმიერი შეუსაბამო ან უხამსი მასალის ან ინფორმაციის გამოქვეყნება ან გავრცელება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაებ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დრღვევით სხვათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება ან სხვაგვარად შეგროვება, მათ შორის ტელეფონის ნომრებისა და ელექტრონული ფოსტის მისამართების; ყალბი პირადობის ან პროფილების შექმნა სხვების შეცდომაში შეყვანის მიზნით; სერვისის ან პროგრამასთან დაკავშირებულ ქსელებში ჩარევა ან შეფერხება.

- ტრანსპორტირება: თუ რაიმე აქტივობის ან/და ღონისძიების ფარგლებში, მოხალისე კურსდამთავრებული უზრუნველყოფს საკუთარი ან მესამე პირის სატრანსპორტო საშუალებით სტუდენტების, პერსონალის ან კურსდამთავრებულების გადადგილებას/ გადაყვანას, თქვენ იღებთ პირად პასუხისმგებლობას თქვენი და თქვენი მგზავრების უსაფრთხოებაზე და კავკასიის უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში არ იღებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას.
- უსაფრთხოება: კურსდამთავრებულთა ორგანიზებით ჩატარებულ ნებისმიერი სახის ღონისძიებაზე დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები და ამაზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მოხალისე კურსდამთავრებულებს. კავკასიის უნივერსიტეტი ამ შემთხვევაში არ იღებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას.
- კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეცვალოს მოხალისე კურსდამთავრებულთა ქცევის კოდექსი. თქვენი მოხალისეობრივი მონაწილეობა კავკასიის უნივერსიტეტის ნებისმიერ პროგრამაში ან ღონისძიებაში დაადასტურებს თანხმობას განხორციელებულ ცვლილებებზე.
- გთხოვთ, კურსდამთავრებულთა მოხალისეთა ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ შეატყობინოთ ელ. მისამართზე alumni@cu.edu.ge

სახელი და გვარი……. ხელმოწერა და თარიღით ……...